1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 5 მაისი № 14 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

86. ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
87. რაიონული და საქალაქო სამრეწველო კომბინატების მოწყობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

88. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.
89. ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

    დებულება ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირების და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სსრ. აკ.
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

86. ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომები ვერ აფასებენ ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების მნიშვნელობას. მთელი რიგი რაიონები ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების თესლის გაცემის საკითხს მაშინ აყენებენ, როდესაც თესვა უკვე იწყება და ეს იმ დროს, როცა ადგილებზე სისტემატიურად არ სრულდება სათესლეების გაშენების გეგმა, უზრუნველყოფილი არ არის გაშენებული სათესლე ნაკვეთების სათანადო მოვლა და სრულიად არავითარი ყურადღება არ ექცევა ორწლოვანი კულტურების (ჭარხალი, ხახვი, სტაფილო, კომბოსტო და სხვ.) სადედეების შერჩევასა და შენახვას. ამის შედეგად მთელი რიგი რაიონები წლითიწლობით ვერ ასრულებენ ორწლოვანი კულტურების თესლის დამზადებისა და სათესლეების გაშენების გეგმას. მაგალითად: 1940 წელს მცხეთის რაიონმა ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების გეგმა შეასრულა მხოლოდ 26%-ით, ვანის რაიონმა—25%-ით, წყალტუბოს რაიონმა—30%-ით, სამტრედიის რაიონმა—25%, ქუთაისის რაიონმა—35%-ით და სხვ.

სავსებით ჩაიშალა ორწლოვანი კულტურების სადედეების შერჩევისა და შენახვის გეგმა ქარელის რაიონში.

ხაშურის რაიონში კომბოსტოს სადედეების შერჩევისა და შენახვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 25%-ით, ქუთაისის რაიონში სტაფილოს, თვის ბოლოკისა და ზამთრის ბოლოკის საშემოდგომო დარგვის გეგმა შესრულებული იყო 40%-ით.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სამტრედიის, წყალტუბოს და სხვა რაიონებშიც.

ადგილი აქვს შეუწყნარებელ მდგომარეობას, როდესაც სათესლე ნაკვეთების მოსავალს არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, 1940 წელს გორის რაიონში 4 ჰექტარ ფართობზე სათესლედ დათესილი პამიდორი აიღეს და დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარეს სასურსათო მიზნებისათვის; ყარაიას რაიონში აგრეთვე მიზნობრივი დანიშნულებისამებრ არ მოუხმარებიათ 2 ჰექტარი ხახვის მოსავალი, რაც სათესლედ იყო შერჩეული. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე წყალტუბოს, ვანის, ქუთაისის, ქარელისა და სხვ. რაიონებში.

სათანადო სადგომების უქონლობასთან დაკავშირებით, მთელ რიგ რაიონებში (მცხეთის, ყარაიას და ახალციხის რაიონები) გაფუჭდა ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების თესლი და სათესლეები, რაც შესანახად იყო ჩაწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული სამიწათმოქმედო ორგანოები სათანადო აგრონომიულ მომსახურეობას არ უწევენ კოლმეურნეობათა ბოსტნეულის მეთესლეობას.

იმ მიზნით, რომ მოეწყოს ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების მტკიცე სათესლე ბაზა და უზრუნველყოფილ იქნას რესპუბლიკა ამ კულტურების საკუთარი სათესლე მასალით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ჯიშიანი თესლის კონტრაქტაციის 1941 წლის გეგმა 1073 ჰექტარის რაოდენობით, აქედან 53 ჰექტარი საქკონსერვხილტრესტის საკონსერვო ქარხნების ზონების კოლმეურნეობებში იმ მიზნით, რომ ნათესები უზრუნველყოფილ იქნას თესლით საკონსერვო მრეწველობის საჭიროებისათვის.

2. კოლმეურნეობებში ბოსტნეულ-ბახჩეულ კულტურების ჯიშიანი თესლის კონტრაქტაციისა და დამზადების ჩატარება დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკურ კანტორას— საქჯიშთესლბოსტნეულს.

3. აეკრძალოს ყველა სხვა დამამზადებელ ორგანიზაციებს ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ჯიშიანი თესლის კონტრაქტაცია და დამზადება.

4. დაწესდეს 1941 წლის მოსავლის ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ჯიშიანი თესლის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1451 ცენტნერის რაოდენობით, აქედან:

ბოსტნეული	პარკოსანი	771	ცენტნერი
„	ორწლოვანი	290,5	„
„	ერთწლოვანი	346	„
„	ბახჩეული	43,5	„

5. დამტკიცდეს ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ჯიშიანი თესლის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის განაწილება რაიონების მიხედვით, აგრეთვე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა გამო თესლის ჰექტარობრივი ჩაბარების, ფულადი ავანსირების ნორმები და თესლის ჩაბარების ვადები.

6. დაწესდეს იმ კოლმეურნეობებისათვის კრედიტებისა და საკონტრაქტაციო ავანსების მიცემის შემდეგი წესი, რომლებიც ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების თესლის მოყვანას ეწევიან: 60%—საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების დროს და 40%—თესვის გეგმის ფაქტიურად შესრულების და ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების აღმოცენების შემდეგ.

7. დაწესდეს კოლმეურნეებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების დამთავრების ვადად 1941 წლის 10 აპრილი.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების მეთესლეობის რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე დადება კოლმეურნეობებთან და თვალყური ადევნონ ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმის შესრულებას.

9. წინადადება მიეცეს რესპუბლიკურ კანტორას—საქჯიშთესლბოსტნეულს უზრუნველჰყოს 1941 წლის მოსავლიდან ორწლოვანი კულტურების სადედეების შერჩევა და შენახვა 1942 წლის გაზაფხულზე გადასარგავად შემდეგი რაოდენობით: ხახვი—288 ტონა, სუფრის სტაფილო—676.000 ძირი, სუფრის ჭარხალი—360.000 ძირი, კომბოსტო—249.000 ძირი და თალგამი—40,000 ძირი.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დააწესოს სადედეების შერჩევისა და შენახვის გეგმა რაიონების და ჯიშების მიხედვით.

10. „კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 9 მაისის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 14, მუხ.322) შესაბამისად, განთავისუფლებულ იქნან მეთესლეობის კოლმეურნეობანი ერთწლოვანი და ორწლოვანი კულტურების სათესლეების იმ ფართობებიდან აღებული მებოსტნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის ჩაბარებისაგან, რომლებიც დაკონტრაქტებულია საქჯიშთესლბოსტნეულის მიერ, და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან სათესლეების მოსავლის გამოყენება სხვა მიზნებისათვის.

11. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობანი, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სუფრის სტაფილოს, სუფრის ჭარხლის, კომბოსტოს, ხახვის, მუხრანული კიტრის, თვის ბოლოკის, პამიდორის თესლის კონტრაქტაციის გეგმა გეგმის გადამეტებით ჩაბარებულ ყოველ კილოგრამ თესლში იღებენ ჯილდო-წანამატს დასამზადებელი ფასის 30% რაოდენობით, ხოლო დანარჩენი კულტურების თესლში—20%.

12. ბოსტნეული კულტურების სათესლეების სათანადოდ შენახვის უზრუნველსაყოფად აშენდეს 1941 წელს ქართლის რაიონების კოლმეურნეობებისათვის დაწესებული გეგმის დამატებით თესლსაცავები შემდეგი რაიონების კოლმეურნეობებში.

ყარაიას რაიონი	2
ბორჩალოს რაიონი	1
ლუქსემბურგის რაიონი	1
ახალციხის რაიონი	1
თელავის რაიონი	1
გურჯაანის რაიონი	1
ვანის რაიონი	1

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა საწარმოო დაკრედიტების 1941 წლის გეგმით საჭირო კრედიტები თესლსაცავების მშენებლობისათვის.

14. ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ქართლის რაიონებში მეთესლეობის კოლმეურნეობათა დაწესებული რაიონების დამატებით შეარჩიონ 1941 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობანი, რომლებსაც კარგად დაყენებული ბოსტნეულის მეურნეობა აქვთ, შემდეგი რაოდენობით:

ყარაიას რაიონში	2	კოლმეურნეობა
ლუქსემბურგის რაიონში . . .	1	„
ბორჩალოს „ . . .	1	„
ახალციხის „ . . .	2	„
ქუთაისის „ . . .	4	„
წყალტუბოს „ . . .	3	„
ვანის „ . .	2	„
სამტრედიის „ . . .	2	„
თელავის „ . . .	2	„
ყვარლის „ . . .	2	„
გურჯაანის „ . . .	2	„
აფხაზეთის ასსრ . . .	5	„

მეთესლეობის შერჩეულ კოლმეურნეობაში ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების სათესლეების ფართობები მიამაგრონ სპეციალურ ბრიგადებს, რგოლებს და ამასთან არ დაუშვან ნათესების დაქუცმაცება;

ბ) მეთესლეობის ნათესებისა და სადედეებისათვის გამოჰყონ ქარისაგან, წყალდიდობისაგან დაცული და სარეველა ბალახებისაგან გასუფთავებული ნაკვეთები;

გ) როგორც წესი, მეთესლეობისათვის თესვა აწარმოონ მზრალად მოხნულ მიწაზე, გადამწვარი ნაკელით განოყიერებულ (20—40 ტონა ჰექტარზე) ნიადაგში; ნიადაგის თესვის წინა დამუშავების დროს აუცილებლად გამოარჩიონ სარეველას ფესურები და ქვები, რაც გატანილი უნდა იქნას მინდვრიდან.

ამასთან თესვამდე და გადარგვამდე 5—10 დღით ადრე გაატარონ ღონისძიებანი მღრღნელი მავნებლების (მახრა, ხვატარი და სხვ.) წინააღმდეგ საბრძოლველად;

დ) დარგულ იქნას ჯანსაღი და მაგარი ნერგი, ამასთან მტკიცედ იქნას დახარისხებული ნერგი სანერგეებიდან (სათბურები, კვლები) ამოღების დროს;

ე) ვეგეტაციის პერიოდში აუცილებლად ჩაატარონ სუფრის სტაფილოს, სუფრის ჭარხლისა და სხვა ძირნაყოფას 2-ჯერ მაინც გამარგვლა და გამეჩხერება, ხოლო თავიანი ხახვისა—სამჯერ მაინც, ამასთან გატანილ იქნას მინდვრიდან ნარჩენები.

გამარგვლისა და გამეჩხერეხის შემდეგ ჩატარდეს სულ მცირე სამ-ოთხჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფხვიერება, მინერალური ან ორგანიული სასუქით გამოკვება, აგრეთვე მორწყვა ამინდის პირობების მიხედვით;

ვ) მავნებლების გამოჩენის დროს ბრძოლის ქიმიურ მეთოდებთან ერთად ჩაატარონ ხელით შეგროვებაც, პამიდორზე ჩაატარონ ბორდოს სითხის შესხურება 3-ჯერ მაინც;

ზ) მოაწყონ და თავის დროზე ჩაატარონ სათესლეების საველე აპრობაცია, ამასთან დაიცვან სივრცობრივი იზოლიაცია, ჯიშობრივი გაწმენდა, სადედეების შერჩევა ისე, რომ არ იქნას დაშვებული ჯიშების მექანიკურად შერევა თესლისა და სათესლეების თესვის, გადარგვის, აღების, გალეწვისა და შენახვის დროს;

თ) ფართოდ შემოიღონ სადედეების საშემოდგომო-საზამთრო გადარგვა ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის, სამტრედიის რაიონებსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

15. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინოს ბოსტნეული კულტურების სათესლე ნათესებისათვის საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქისა და შხამის მასალების შეტანა სათანადო რაიონებში.

16. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს:

ა) ათი დღის ვადაში ჩაატარონ იმის მთლიანი შემოწმება, თუ რამდენად არიან უზრუნველყოფილი კოლმეურნეობანი ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების როგორც სამეურნეო, ისე მეთესლეობის ნათესების თესლით. და მიიღონ ზომები ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, რათა ლიკვიდირებულ იქნას თესლის ნაკლებობა მიმდინარე წლის გაზაფხულზე;

ბ) იმისათვის, რომ მიმდინარე წელს უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებში ორწლოვანი კულტურების სათესლეების გადარგვის გეგმა, მოაწყონ სათესლეების შენახვა მეთესლეობის სპეციალური ნათესების მოსავლიდან, ამასთან სადედეების დანაკლისი რაოდენობა დაფარონ სამეურნეო მარაგიდან შერჩევის ხარჯზე.

17. დაევალოს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, გორის, თელავის, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, გამოუყონ ჯიშთესლბოსტნეულის სარაიონთაშორისო ბაზებს დარაბები ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების თესლის მისაღებად და შესანახად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 25 მარტი. № 516.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

87. რაიონული და საქალაქო სამრეწველო კომბინატების მოწყობის შესახებ.

რაიონული ქვემდებარების სამრეწველო საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს დანართში აღნიშნულ რაიონულ და საქალაქო საბჭოებს მოაწყონ სამრეწველო კომბინატები.

2. საქართველოს სს რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებსა და ქალაქებში რაიონული მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროს რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს; იმ რაიონებში კი, სადაც ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი არ არსებობენ, რაიონული საწარმოების ხელმძღვანელობა დაეკისროს რაიონულ და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 2 აპრილი. № 537.
თბილისი.

ს ი ა

იმ რაიონებისა და ქალაქებისა რომლებშიაც რაიმრეწვკომბინატები ეწყობა

1. ახალციხის
2. ზესტაფონის
3. გ ო რ ი ს
4, წულუკიძის
5. ლანჩხუთის
6. თელავის
7. სამტრედიის
8. ზუგდიდის
9. ბორჯომის
10. მახარაძის
11. თბილისის რაიონი
12. ცხაკაიას რაიონი
13. სოხუმის საქალაქო საბჭო

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

88. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

გ. ა. ჯაბუა—სახალხო კომისარი—კოლეგიის თავმჯდომარე,

მ. მ. ქართველიშვილი — სახალხო კომისრის მოადგილე — კოლეგიის წევრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. მ. ბირკაძე—სამკერვალო სამმართველოს უფროსი—კოლეგიის წევრი,
ა. გ. კახაძე—ტყავფეხსაცმელის სამმართველოს უფროსი—კოლეგიის წევრი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 4 აპრილი. № 544.
თბილისი.

---

89. ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების მათთან გათანაბრებული პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

„ვადიან სამსახურის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიის დაწესების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 19, მუხ. 465, № 30, მუხ. 729) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 16 ივლისის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება ომის და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) დებულება ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1935 წლის 15 სექტემბერს (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 28, მუხ. 177);

ბ) „სოციალური უზრუნველყოფის საპენსიო ნორმებისა და ერთდროულ დახმარებათა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 7 ნოემბრის დადგენილების კარი „ა“ მუხ. 1;

გ) საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 ივნისის № 208/753 დადგენილება „მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში სამოქალაქო ომის ინვალიდებისა და სამხედრო სამსახურის ინვალნდებისათვის, ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანებისათვის, აგრეთვე ამ პირთა ოჯახის წევრებისათვის პენსიის ოდენობის გადიდების შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 5 აპრილი. № 603.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირების და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ.

კ ა რ ი I

ის პირები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის უფლება აქვთ.

1. ამ დებულების წესით სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება აქვთ:

ა) სამოქალაქო ომის ინვალიდებს, აგრეთვე იმ პირთ ვინც დაჰკარგა შრომის უნარი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში სამხედრო სამსახურის გავლის დროს დაავადების ან დასახიჩრების შედეგად, უკეთუ შრომის უნარის დაკარგვა წარმოიშვა არაუგვიანეს ერთი წლისა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღიდან;

ბ) წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის პირთ რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომში, მიუხედავად შრომის უნარის დაკარგვის წარმოშობის დროისა და მიზეზისა;

გ) ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელ პარტიზანებს, მიუხედავად შრომის უნარის დაკარგვის წარმოშობის დროისა და მიზეზისა;

დ) იმ პირთ, ვინც უზრუნველყოფის მხრივ გათანაბრებულია სამოქალაქო ომის ინვალიდებთან, სახელდობრ: ვინც დაშავდა თავდაცვა ავიაქიმის ან ადგილობრივი საჰაერო დაცვის მიერ მოსახლეობის გასამხედროების მიზნით წარმოებული მეცადინეობის შედეგად; ვინც დაშავდა ბანდიტიზმთან, ხულიგნობასთან და სხვა დანაშაულთან ბრძოლაში მილიციის მუშაკებისა და სხვა თანამდებობის პირთათვის დახმარების გაწევის დროს; ვინც დაჰკარგა შრომის უნარი, შრომისა და საჭაპანო ბეგარის შესრულების, აგრეთვე საგზაო მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის დროს; უმაღლესი სასწავლებლების, მუშფაკებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთ, რომელთაც შრომის უნარი დაჰკარგეს სასწავლოდამხმარე დაწესებულებებში მუშაობის ან საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს;

ე) იმ პირთ ვინც შრომის უნარი დაჰკარგა კონტრევოლუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის შედეგად (კერძოდ, კულაკთა მხრივ შურისძიებისაგან დაზარალებულთ);

ვ) იმპერიალისტური ომის ინვალიდებს, რომლებიც ამ დებულების გამოცემის დღისათვის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფაზე იმყოფებიან, აგრეთვე იმპერიალისტური ომის იმ ინვალიდებს, რომლებიც შრომის უნარის სრული დაკარგვის გამო გამოვიდნენ ინვალიდთა კოოპერატიული გაერთიანებებიდან ან დაჰკარგეს სხვა სახის შრომითი საშოვარი;

ზ) გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ამა მუხლის „ა"—„ვ" პუნქტებში მოხსენებული პირთა ოჯახის წევრებს, ამ პირთა სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, ამასთანავე „ბ" და „გ" პუნქტებში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებს უზრუნველყოფის უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები თვით იყვნენ სოციალური უზრუნველყოფის პენსიონერები სიცოცხლეში ან უგზო-უკვლოდ დაკარგვამდე.

შენიშვნა. ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც 1938 წლის 1 იანვრის შემდეგ გახდნენ ინვალიდები, აგრეთვე ამ ვადის შემდეგ გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები სახელმწიფო უზრუნველყოფას მიიღებენ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 16 ივლისის დადგენილებით „ვადიან სამსახურის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის პენსიის დაწესების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 19, მუხ. 465, № 30, მუხ. 729).

2. პირველ მუხლის „ბ", „ე" პუნქტებში მოხსენებულ პირებს ამ დადგენილების საფუძველზე სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არა აქვთ უზრუნველყოფის უფლება სხვა საფუძველზე.

პირველ მუხლში ჩამოთვლილ სხვა პირებს, რომლებსაც უზრუნველყოფის უფლება აქვთ როგორც ამ დადგენილების წესით, ისე სხვა საფუძვლებზედაც, შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ერთი პენსია თავის არჩევით.

ამასთან სათვალავში არ მიიღება დამატებითი პენსიები ან დახმარება, რასაც ეს პირები იღებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა—ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების და სხვ. სახსრებიდან.

3. ამ დებულების საფუძველზე უზრუნველყოფის უფლება არა აქვთ იმ პირთ, რომლებიც მსჯავრდადებული არიან პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევით, თუ ამ პირთა მიმართ განაჩენები შესულია კანონიერ ძალაში.

4. იმ პირთა გარდაცვალების ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის სათანადოდ დადასტურებულ შემთხვევაში, რომლებიც სახელმწიფო უზრუნველყოფას იღებდნენ ან მისი მიღების უფლება ჰქონდათ ამ დებულების საფუძველზე (მუხ. 1 და 2), უზრუნველყოფის უფლება ენიჭებათ არსებობის საკმაო სახსრებს მოკლებულ იმ მცირეწლოვან ან შრომის უუნარო ოჯახის წევრებს, რომლებიც გარდაცვალების ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის დადასტურების დროისათვის მათს კმაყოფაზე ირიცხებოდნენ;

ა) შვილებს, ძმებსა და დებს, ვიდრე მათ 16 წელი შეუსრულდებოდეს, ხოლო სასწავლებლებში მოსწავლეებს—ვიდრე 18 წელი შეუსრულდებოდეს; იმავე პირებს, წლოვანების ბიუხედავად, თუ მათ შრომის უნარი დაჰკარგეს 16 წლის ასაკამდე;

ბ) მშობლებს, მათთან გათანაბრებულ პირებს, მეუღლეს, რომლებმაც შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის უნარი დაჰკარგეს ან რომლებსაც შეუსრულდათ: მამაკაცებს 60 წელი, ქალებს 55 წელი;

გ) ამ მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირებს, რომლებიც თუმცა შრომის უნარს მოკლებული არ არიან, მაგრამ თავისთან ჰყავთ გარდაცვლილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილები, ძმები ან დები, რომლებსაც 8 წელი არ შესრულებიათ.

კ ა რ ი II

სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის სახეები და ოდენობა

5. სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა სწარმოებს:

ა) შრომითი მოწყობის სახით (უზრუნველყოფის ძირითადი სახე);

ბ) პენსიებისა და დახმარების სახით;

გ) სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სათანადო დაწესებულებებში მოთავსების სახით.

6. სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის სახე (მუხ. 5), რაც ამ დებულების საფუძველზე ამა თუ იმ უზრუნველსაყოფ პირს უნდა მიეკუთნოს დაწესდება ინვალიდობის იმ ჯგუფის მიხედვით, რომელზედაც მიკუთვნებულია უზრუნველსაყოფი პირი.

7. წესდება ინვალიდობის შემდეგი სამი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი—ის პირნი რომელთაც სრულიად დაჰკარგეს შრომის უნარი და სხვების მოვლას საჭიროებენ;

მეორე ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც სრულიად დაჰკარგეს შრომის უნარი, როგორც თავის, ისე სხვა რომელიმე პროფესიაში;

მესამე ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც დაჰკარგეს სისტემატური შრომის უნარი თავის პროფესიაში ამ პროფესიისათვის მუშაობის ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დარჩენილი შრომის უნარი: ა) ან არარეგულიარულ სამუშაოზე, ბ) ან შემცირებულ სამუშაო დღეში, ან სხვა შეჰსუბუქებული მუშაობის პირობებში, გ) ან სხვა პროფესიაში—კვალიფიკაციის მნიშვნელოვანი შემცირებით.

შენიშვნა. შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის გამორკვევას ახდენენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები.

8. პენსიით უზრუნველყოფაზე მიიღებიან ინვალიდები, რომლებიც მიკუთვნილები არიან ინვალიდობის პირველ ან მეორე ჯგუფზე.

ინვალიდობის მესამე ჯგუფზე მიკუთვნებულნი უზრუნველყოფილ იქნებიან მხოლოდ შრომითი მოწყობის სახით.

9. ამ დებულების საფუძველზე გასაცემი პენსიები წესდება 1940 წლის 1 ივლისიდან შემდეგი ოდენობით:

ა) იმ პირთათვის, რომლებმაც შრომის უნარი დაჰკარგეს სამოქალაქო ომში მონაწილეობასთან დაკავშირებით ან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში სამხედრო სამსახურის გავლის დროს, მათთან გათანაბრებული პირებისათვის, ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანებისათვის, აგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე ამ დადგენილებაში ჩამოთვლილ პირთა ოჯახის იმ წევრებისათვის, რომლებსაც 4 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება აქვთ.

პენსიონერთა კატეგორიები	პენსიის ოდენობა თვეში	
	იმ პირთათვის, რომლებსაც სოფლის მეურნეობა არა აქვთ	იმ პირთათვის, რომლებსაც სოფლის მეურნეობა აქვთ
პირველი ჯგუფის ინვალიდები	97 მან. 50 კაპ.	60 მან. —
მეორე ჯგუფის ინვალიდები	67 მან. 50 კაპ.	37 მან. 50 კაპ.
გარდაცვალებულთა იმ ოჯახებს რომლებსაც სამი ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრი ჰყავთ	67 მან. 50 კაპ.	37 მან. 50 კაპ.
გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც შრომის უნარმოკლებული ორი წევრი ჰყავთ	52 მან. 50 კაპ.	30 მან. —
გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც შრომის უნარმოკლებული ერთი წევრი ჰყავთ	37 მან. 50 კაპ.	22 მან. 50 კაპ.

ბ) იმპერიალისტური ომის ინვალიდებისა და იმპერიალისტური ომში დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის:

პენსიონერთა კატეგორიები	პენსიის ოდენობა თვეში	
	იმ პირთათვის, რომლებსაც სოფლის მეურნეობა არა აქვთ	იმ პირთათვის, რომლებსაც სოფლის მეურნეობა აქვთ
პირველი ჯგუფის ინვალიდები	52 მან. 50 კაპ.	36 მან.
მეორე ჯგუფის ინვალიდები	36 მან.	24 მან.
გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც სამი ან მეტი შრონის უნარმოკლებული წევრი ჰყავთ	36 მან.	24 მან.
გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც შრომის უნარმოკლებული ორი წევრი ჰყავთ	24 მან.	16 მან. 50 კაპ.
გარდაცვალებულთა ოჯახები, რომლებსაც შრომის უნარმოკლებული ერთი წევრი ჰყავთ	16 მან. 50 კაპ.	12 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ამ დებულების 9 მუხლის „ა" პუნქტში მოხსენებულ პირებს, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა სოფლის მეურნეობა და ცხოვრობენ თუ არა ისინი ქალაქად ან სოფლად, უფლება აქვთ მიიღონ ყოველთვიური საოჯახო წანამატები.

საოჯახო წანამატების ნორმები განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით:

ა) ინვალიდ-პენსიონერი, რომელსაც ოჯახის სამი ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრი ჰყავს,—მიიღებს წანამატს თავისი ხვედრი პენსიის 40% რაოდენობით;

ბ) ინვალიდ-პენსიონერი, რომელსაც ოჯახის შრომისუნარმოკლებული ორი წევრი ჰყავს, მიიღებს წანამატს თავისი ხვედრი პენსიის 30% რაოდენობით;

გ) ინვალიდ-პენსიონერი, რომელსაც ოჯახის შრომისუნარმოკლებული ერთი წევრი ჰყავს, მიიღებს წანამატს თავისი ხვედრი პენსიის 20% რაოდენობით.

11. ამ დებულების 9 მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნულ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ როგორც ქალაქად ისე სოფლად, თუ ისინი ღებულობენ პენსიას იმ პირთათვის დაწესებული ნორმების მიხედვით, რომლებიც სოფლის მეურნეობას არ ეწევიან, საოჯახო წანამატები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) ინვალიდ-პენსიონერი, რომელსაც ოჯახის შრომის უნარმოკლებული სამი ან მეტი წევრი ჰყავს მიიღებს წანამატს თავისი ხვედრი პენსიის 30% რაოდენობით;

ბ) ინვალიდ-პენსიონერი, რომელსაც ოჯახის შრომის უნარმოკლებული ორი წევრი ჰყავს, მიიღებს წანამატს თავისი ხვედრი პენსიის 20% რაოდენობით;

გ) ინვალიდ-პენსიონერი, რომელსაც ოჯახის შრომის უნარმოკლებული ერთი წევრი ჰყავს, მიიღებს წანამატს თავისი ხვედრი პენსიის 10% რაოდენობით;

შენიშვნა. 10 და 11 მუხლებით გათვალისწინებული საოჯახო წანამატები ინვალიდ-პენსიონერებს მიეცემათ ამ შემთხვევაში თუ მათ ჰყავთ ამ დებულების 4 მუხლში აღნიშნული ოჯახის წევრები, რომლებიც მათს რჩენაზე იმყოფებიან და მათთან ერთად ცხოვრობენ.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ პენსიების დამნიშვნელ კომისიებს (ამ დებულების 14 მუხლი) უფლება ენიჭებათ:

ა) ინვალიდებს—ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელ პარტიზანებს და მათი ოჯახის წევრებს დაუნიშნონ პენსია 25%-ით მეტი, ვიდრე ეს ამ დებულების 9 მუხლით დაწესებულია პენსიონერთა სათანადო კატეგორიებისათვის;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერებს განსაკუთრებული დამსახურება აქვთ, აღძრან შუამდგომლობა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, აგრეთვე რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე ამ პირთათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ.

13. იმ პირებს, რომლებიც საპენსიო უზრუნველყოფას იღებენ სოფლის მეურნეობის არმქონეთათვის დაწესებული ნორმებით, სათანადო შემთხვევებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცემათ დამატებით დახმარება ახლადშობილთა მოსავლელად, ბავშვის საკვებად და დასაკრძალავად.

კარი III

სახელმწიფო უზრუნველყოფის დანიშვნის წესი.

14. ამ დებულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო უზრუნველყოფას დანიშნავენ იმ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვინც უზრუნველყოფას საჭიროებს განსაკუთრებული კომისიები, რომლებიც მოქმედებენ სასოფლო ადგილებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან, ხოლო ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან.

კომისიების გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში, რომლის დადგენილებანიც საბოლოოა.

15. უზრუნველყოფის დანიშვნის შესახებ აღძრული შუამდგომლობანი გარჩეულ უნდა იქნას კომისიაში მათი შემოსვლის დღიდან ორი კვირის განმავლობაში.

16. უზრუნველყოფის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნას თუ სახელდობრ რა დროიდან, რა სახით და რა რაოდენობით დაენიშნა უზრუნველყოფა, ხოლო როდესაც პენსია ენიშნებათ იმ გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებს, რომლებსაც სახელმწიფო უზრუნველყოფას იღებდნენ ან მისი მიღების უფლება ჰქონდათ,—აღნიშნულ უნდა იქნას, თუ ოჯახის თითოეული წევრისათვის რა წილად იყოფა პენსია უკეთუ ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

17. უზრუნველყოფის მიღების უფლების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს 14 მუხლში აღნიშნული ორგანოების დადგენილებებით:

ა) როდესაც კანონიერ ძალაში შესულია სასამართლოს განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს პენსიის მიღების უფლების წართმევას;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ იმგვარად შეიცვალა შრომის უნარის მოკლებულობის ხასიათი და ქონებრივი ან ოჯახური მდგომარეობა, რაც უზრუნველყოფის მიღების უფლებას ართმევს;

18. საჩივრები უზრუნველყოფის მოსპობის შესახებ და განცხადებანი მისი სახის ან ოდენობის შეცვლის შესახებ შეიტანება იმავე წესით, როგორც პირვანდელი შუამდგომლობა უზრუნველყოფის დანიშვნის შესახებ.

კარი IV

სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის გაცემის წესი.

19. ამ დებულებაში აღნიშნულ პირთა სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის ხარჯები გაღებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან, გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი განსაკუთრებით აწესებს ხარჯების გადახდევას რესპუბლიკური ბიუჯეტიდანაც.

20. დანიშნული, მაგრამ თავის დროზე მოუთხოვნელი პენსიები გაიცემა არაუმეტეს თორმეტი თვისა იმ დღიდან- რაც პენსიონერი მოუთხოვნელი პენსიის მისაღებად მიმართავს.

21. იმ პირებს, რომელებიც მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში ისეთი დანაშაულისათვის, რომლის მიხედვითაც სასამართლომ შეიძლება მათ პენსიის მიღების უფლება წაართვას, პენსიების მიცემა შეუჩერდებათ.

იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები გამართლებულ იქნენ, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეები მოისპო ან მსჯავრდადებული არიან პენსიის უფლების ჩამოურთმევლად, პენსია მიეცემათ საერთო საფუძველზე.

22. ამ დებულების შეფარდების შესახებ ინსტრუქციას გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

41-3461
ეროვნული
ბიბლიოთეკა
39

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ეროვნული ბიბ. ბიბ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 976. ტირაჟი 1.600.